


საპატრიარქოს წყებანი



საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

№14
924

11-17 აპრილი 2019 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან
ფასი 70 თეთრი



- ✠ პატრიარქის ქადაგება
- ✠ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი
- ✠ ეკლესია განგვამტკიცებს მარიაშვილების მავალითით
- ✠ ქრისტიანული ნეოპლატონიზმი II

- ✠ 12 მაისი საქართველოს ღვთისმშობლის ნილსვდომილობის დღედ გამოცხადდა
- ✠ რათა კვლავ აღორძინდეს დაცლილი სოფლები
- ✠ სნეულების დათმენა და მზადება აღსარებისათვის
- ✠ დეკანოზი ერასტი მაჭარაძე 1856-1930

მიტროპოლიტ გრიგოლის საჯარო ლექცია

2019 წლის 2 აპრილს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა ამავე უნივერსიტეტის რექტორის, ფილოსოფიის დოქტორის, პროფესორის, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) საჯარო ლექცია თემაზე - „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე“.

შეხვედრა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორმა თენგიზ ირემაძემ გახსნა, რომელმაც მსგავსი ღონისძიებების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი შეხვედრე-

ბი აკადემიურ სივრცეში სასულიერო და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი გახლავთ. თავისი მოხსენების ფარგლებში მიტროპოლიტმა გრიგოლმა ისაუბრა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე მეოცე საუკუნეში,

ასევე, მიმოიხილა მისი გამონწვევები როგორც ისტორიულ კონტექსტში, ისე სამომავლო პერსპექტივაშიც. მიტროპოლიტმა გრიგოლმა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ იმსჯელა - მან დანვრილებით განიხილა ლიტურგიკის, საეკლესიო და საერო განათლების ურთიერთმიმართების, ქართული ეკლესიის საგარეო და შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების საკითხები, ასევე, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები; მან საგანგებოდ ხაზი გაუსვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პროცესში. მიტროპოლიტმა გრიგოლმა ეკლესიისა და სახელმწიფოს მიმართების მრავალი ას-

პექტი აღნიშნა. საუბარი, ასევე, ეკლესიის მისიონერულ მოწოდებასაც შეეხო. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ფოთისა და ხობის ეპარქიის სასულიერო დასი და სხვა დაინტერესებული პირები. მოხსენების შემდგომ გაიმართა უალრესად ნაყოფიერი დისკუსია, რომლის დროსაც კითხვა-პასუხის რეჟიმში აუდიტორიას საშუალება მიეცა მისთვის საინტერესო კითხვებზე არგუმენტირებული პასუხები მიეღო. დისკუსიის დროს ქრისტიანული მოძღვრების თანამედროვე გამონწვევების მომცველი არაერთი საგულისხმო საკითხი გამოიკვეთა და დაზუსტდა.